თავისუფალი და სამართლიანი არჩევნებისთვის უწყებათაშორისი კომისიის

სხდომის ოქმი №4

თბილისი, 25 აგვისტო, 2021 წ.

ქვეყანაში არსებული კორონავირუსის გავრცელების საფრთხეებიდან გამომდინარე, უწყებათაშორისი კომისიის სხდომის თავმჯდომარის გადაწყვეტილებით, თავისუფალი და სამართლიანი არჩევნებისთვის უწყებათაშორისი კომისიის 25 აგვისტოს სხდომა გაიმართა ონლაინ რეჟიმში.

სხდომა დაიწყო 17:10 საათზე.

სხდომას ესწრებოდნენ:

თავისუფალი და სამართლიანი არჩევნებისთვის უწყებათაშორისი კომისიის (შემდგომში – კომისია) წევრები:

– კომისიის თავმჯდომარის მოადგილე – საქართველოს იუსტიციის მინისტრის მოადგილე თორნიკე ჭეიშვილი;

– საქართველოს ფინანსთა მინისტრის მოადგილე ცოტნე ყავლაშვილი;

– საქართველოს თავდაცვის მინისტრის მოადგილე გრიგოლ გიორგაძე;

– საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის მოადგილე თამარ ქიტიაშვილი;

– საქართველოს გენერალური პროკურორის მოადგილე გიორგი გაბიტაშვილი;

– საქართველოს სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის უფროსის პირველი მოადგილე ალექსანდრე ბატიაშვილი;

– სახელმწიფო აუდიტის სამსახურის პოლიტიკური ფინანსების მონიტორინგის დეპარტამენტის უფროსი ბესიკ ქოჩიაშვილი;

– ცენტრალური საარჩევნო კომისიის იურიდიული დეპარტამენტის უფროსი გიორგი სანტურიანი;

– სახელმწიფო ინსპექტორის პირველი მოადგილე გიორგი გამეზარდაშვილი;

– სახელმწიფო ინსპექტორის მოადგილე სალომე ბახსოლიანი;

– კომისიის მდივანი – საქართველოს იუსტიციის სამინისტროს ადმინისტრაციის (დეპარტამენტი) უფროსი მანანა ბეგიაშვილი;

დებულებით გათვალისწინებულ წევრთა ნაცვლად კომისიის წევრი უწყებებიდან სხდომაზე დასასწრებად წარმოდგენილნი იყვნენ:

– საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროს ადგილობრივი თვითმმართველობის განვითარებისა და პოლიტიკის დეპარტამენტის უფროსი ნიკოლოზ როსებაშვილი;

– საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტროს იურიდიულ საკითხთა და პარლამენტთან ურთიერთობის დეპარტამენტის დირექტორის მოადგილე თეა ლეკვეიშვილი;

– საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს პოლიტიკის დეპარტამენტის უფროსი გიორგი ჭავჭავაძე;

– საქართველოს სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის იურიდიული მთავარი სამმართველოს უფროსი ბექა ზეგარდელი;

– საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს ადამიანის უფლებათა დაცვისა და გამოძიების ხარისხის მონიტორინგის დეპარტამენტის დირექტორი გიორგი ოსაძე;

– ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის მუნიციპალური ინსპექციის უფროსის მოადგილე მამუკა ჯაყელი;

კომისიის სამდივნოს წევრი:

– თამარ ლომიძე – საქართველოს იუსტიციის სამინისტროს ადმინისტრაციის (დეპარტამენტი) მესამე კატეგორიის უფროსი სპეციალისტი (თავისუფალი და სამართლიანი არჩევნებისთვის უწყებათაშორისი კომისიის სამდივნოს კოორდინატორი);

კომისიის სხდომაზე მოწვეული სხვა პირები:

პოლიტიკური პარტიის წარმომადგენელი:

– „ქართული ოცნება – დემოკრატიული საქართველო“ – შალვა პაპუაშვილი;

საერთაშორისო სადამკვირვებლო ორგანიზაციები:

– „საარჩევნო სისტემათა საერთაშორისო ფონდი“ (IFES) – დავით ღონღაძე;
– „ევროკავშირის წარმომადგენლობა“ – მარიამ ტაბატაძე;
– საარჩევნო პროგრამების მენეჯერი (USAID) – ხათუნა კუნჭულია;

ადგილობრივი სადამკვირვებლო ორგანიზაციები:

– „დემოკრატიულ ინიციატივათა საერთაშორისო ცენტრი“ (ICDI) – ნათია კიზივაძე;
– „საერთაშორისო გამჭვირვალობა – საქართველო“ – ლევან ნატროშვილი;
– „ადამიანის უფლებათა ცენტრი“ – ნინო ცაგარეიშვილი;
– „ერთსულოვნება საზოგადოების უფლებებისათვის“ – მიხეილ ანდღულაძე;
– „ადვოკატთა და იურისტთა საერთაშორისო ობსერვატორია“ – გრიგოლ გაგნიძე;
– „განვითარებისა და დემოკრატიის ცენტრი“ – პაატა ყვავაძე;
– „საერთო სამოქალაქო მოძრაობა – მრავალეროვანი საქართველო“ – დარეჯან გიორბელიძე;
– „სამართლიანი არჩევნებისა და დემოკრატიის საერთაშორისო საზოგადოება“ (ISFED) – ლელა ხათრიძე;
– „ახალი თაობა დემოკრატიული საქართველოსთვის“ – ტატიანა (ნატალია) ხოხიაშვილი;
– „მწვანე დედამიწა“ – ნუგზარ მელაძე.

თავისუფალი და სამართლიანი არჩევნებისთვის უწყებათაშორისი კომისიის თავმჯდომარის მოადგილემ, ბატონმა თორნიკე ჭეიშვილმა, სხდომა გახსნა 17:10 საათზე. საქართველოს იუსტიციის მინისტრის 2021 წლის 29 ივნისის №728 ბრძანებით დამტკიცებული „თავისუფალი და სამართლიანი არჩევნებისთვის უწყებათაშორისი კომისიის დებულების" მე-3 მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად, სხდომის უფლებამოსილებისათვის საჭირო კვორუმის არსებობის დადასტურების შემდგომ თავმჯდომარემ კომისიას გააცნო სხდომის დღის წესრიგი:

1. „თავისუფალი და სამართლიანი არჩევნებისთვის" უწყებათაშორისი კომისიის სხდომის გახსნა.

2. „თავისუფალი და სამართლიანი არჩევნებისთვის" უწყებათაშორისი კომისიის წევრების მოსმენა 10-23 აგვისტოს მედიამონიტორინგის შედეგად მიღებულ ინფორმაციაზე რეაგირების შესახებ.

3. სხვადასხვა.

სხდომის გახსნის შემდგომ ბატონმა თორნიკე ჭეიშვილმა აღნიშნა, რომ დღევანდელი კომისიის სხდომა ტარდება გაფართოებულ ფორმატში, ვინაიდან სხდომაზე მოწვეული არიან ადგილობრივი და საერთაშორისო ორგანიზაციების, ასევე, სახელმწიფო ბიუჯეტიდან დაფინანსების მქონე პოლიტიკური პარტიების წარმომადგენლები.

კომისიის სხდომა გაგრძელდა 10-23 აგვისტოს მედიამონიტორინგის შედეგად მიღებული ინფორმაციების განხილვით.

საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს წარმომადგენელმა - გიორგი ოსაძემ სხდომაზე დამსწრე პირებს მიაწოდა ინფორმაცია შიდა ქართლის საპატრულო პოლიციის დეპარტამენტის თანამშრომლის - თამაზ ჯოხაძის მიერ გაკეთებულ განცხადებასთან დაკავშირებით, რომელშიც იგი საუბრობს თავის სიძესთან, შინაგან საქმეთა მინისტრის ყოფილ მოადგილე კახა საბანაძესთან, მეგობრული კავშირის გამო მისი პოლიტიკური ნიშნით სამსახურიდან გაშვების შესახებ. გიორგი ოსაძემ, აღნიშნა, რომ საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს გენერალური ინსპექციის მიერ ჩატარებული სამსახურებრივი შემოწმებით გამოიკვეთა ზემოხსენებული პირის მხრიდან არაერთი ნორმატიული აქტის (მინისტრის ბრძანებების) დარღვევა, რაც გახდა მის მიმართ დისციპლინური სახდელის გამოყენების საფუძველი (სამსახურიდან გათავისუფლება). სიტყვით გამომსვლელის თქმით, გათავისუფლებას წინ უსწრებდა თამაზ ჯოხაძის მიმართ ორი სარეკომენდაციო ბარათის მიცემა, რაც მისი მხრიდან არ იქნა გათვალისწინებული. ამასთან, ამ პიროვნების სამსახურიდან დათხოვნა არანაირ კავშირში არ არის პოლიტიკურ დევნასთან.

მედიაში გავრცელებულ მსგავს ინფორმაციასთან (აჭარა-გურიის იზოლატორის უფროსის სამსახურიდან პოლიტიკური ნიშნით გათავისუფლებასთან დაკავშირებით, გიორგი გახარიასთან შესაძლო კავშირების გამო) მიმართებით ბატონმა გიორგიმ განაცხადა, რომ დასახელებულმა პირმა 2021 წლის 29 ივლისს საკუთარი სურვილით დაწერა პატაკი უშუალო ხელმძღვანელის სახელზე და თავად მოითხოვა კადრების განკარგულებაში გადაყვანა, რაც დაკმაყოფილდა ხელმძღვანელობის

მხრიდან. ამასთან, მომხსენებელმა აღნიშნა, რომ მედიაში გავრცელებული ეს ინფორმაციაც სამსახურიდან ამ პიროვნების პოლიტიკური ნიშნით გათავისუფლებასთან დაკავშირებით სიმართლეს არ შეესაბამება.

მედიაში გავრცელებული მომდევნო საკითხი ეხებოდა კორუფციის მკვლევარ ბესიკ დონაძის განცხადებას კახი კალაძის მერობის კანდიდატად წარდგენის შემდეგ მის მიერ თბილისის სხვადასხვა რაიონში მოსახლეობისთვის სიმბოლურ ერთ ლარად ფართების დაკანონების თაობაზე. დონაძე მიიჩნევს, რომ, ფაქტობრივად, კახი კალაძემ დაიწყო საარჩევნო კამპანია და იგი ადმინისტრაციულ რესურსს იყენებს მისი პოლიტიკური მიზნებისა და საარჩევნო კამპანიისთვის. აღნიშნულ საკითხზე ცესკო-ს წარმომადგენელმა, გიორგი სანტურიანმა, განაცხადა, რომ, საარჩევნო კანონმდებლობის თანახმად, ამომრჩევლის შესაძლო მოსყიდვის განმხილველი კომპეტენტური ორგანო არის სასამართლო. თუ სასამართლო დაადასტურებს, რომ ადგილი აქვს ამომრჩევლის მოსყიდვას, საარჩევნო სუბიექტს გაუუქმდება რეგისტრაცია. ამასთან, ბატონმა გიორგიმ აღნიშნა, რომ აღნიშნულ საკითხზე ცენტრალურ საარჩევნო კომისიაში საჩივარი არ შესულა; „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის" წარმომადგენლებმა კი, მიმართეს სასამართლოს სარჩელით, თუმცა, სასამართლოს მხრიდან საკითხი განუხილველი დარჩა. მომხსენებლის თქმით, მის ხელთ არსებული ინფორმაციით, პარტიის წარმომადგენლებმა პირველი ინსტანციის სასამართლოს გადაწყვეტილება გაასაჩივრეს სააპელაციო სასამართლოში, რაზეც ამ ეტაპისთვის არ არის მიღებული შესაბამისი გადაწყვეტილება.

მედიაში გავრცელებულ შემდეგ ინფორმაციასთან (საუბნო საარჩევნო კომისიებში (კერძოდ, ისანში) კომისიის წევრებად ნების საწინააღმდეგოდ პირთა დარეგისტრირება მათი პირადი მონაცემების გამოყენებით) დაკავშირებით ცესკო-ს წარმომადგენელმა განაცხადა, რომ საუბნო საარჩევნო კომისიების დაკომპლექტების მიზნით საოლქო საარჩევნო კომისიის მიერ ტარდება კონკურსი და დადგენილ ვადებში ხდება საუბნო საარჩევნო კომისიის წევრების არჩევა. ამასთან, ცესკო-ში შეტანილ იქნა საჩივარი ისნის საარჩევნო კომისიის მიერ ჩატარებულ კონკურსთან დაკავშირებით. მოკვლევის შედეგად დადგინდა, რომ კანონმდებლობით დადგენილი არცერთი მოთხოვნა არ არის დარღვეული. აღსანიშნავია, რომ ცესკო-ში შეტანილი 12 საჩივრიდან საოლქო საარჩევნო კომისიების მიერ ჩატარებულ კონკურსებთან დაკავშირებით მხოლოდ ერთი საჩივარია სასამართლოში გასაჩივრებული. რაც შეეხება ისნის საოლქო საარჩევნო კომისიაში ნების საწინააღმდეგოდ პირების წევრებად არჩევას, ბატონმა გიორგიმ აღნიშნა, რომ ისნის საუბნო საარჩევნო კომისიაში არჩეული 655 წევრიდან არცერთს არ მიუმართავს ცესკო-თვის განცხადებით ან/და საჩივრით მსგავს საკითხზე.

სახელმწიფო ინსპექტორის მოადგილემ, ქალბატონმა სალომე ბახსოლიანმა, განაცხადა, რომ ზემოაღნიშნულ საკითხზე მათ უწყებაში პერსონალურ მონაცემთა უკანონო გამოყენებასთან დაკავშირებით არანაირი საჩივარი არ შესულა.

მედიამონიტორინგით მიღებულ შემდეგ ინფორმაციასთან (პარტიის „საქართველოსთვის" წარმომადგენელ ნათია მეზვრიშვილის მიერ გავრცელებული ინფორმაცია პოლიტიკური ნიშნით დევნის მიზნებისთვის მათი პარტიის მხარდამჭერებისა და წევრების მიმართ ხელისუფლების მიერ სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის, ძალოვანი უწყებების, პოლიციის, შემოსავლების

სამსახურის აქტიურად გამოყენების თაობაზე. ინფორმაციის თანახმად, შიდა ქართლში ერთ-ერთ კანდიდატად დასახელებულ პირს, რომელთანაც მოლაპარაკებები მიმდინარეობდა, დაემუქრნენ დაჭერით, სუს-ის, პოლიციის და შემოსავლების სამსახურის გამოყენებით; ზეწოლა ხორციელდება პარტიის ღონისძიების ჩატარებისთვის ფართის დათმობის გამო; შიდა ქართლში მიწები დაუყადაღეს პარტიასთან ახლო ურთიერთობაში მყოფ ბიზნესმენს; აჭარაში ბიზნესმენს 6 თვის განმავლობაში შემოსავლების სამსახურმა ორჯერ მიაკითხა; სხვადასხვა მეთოდი გამოიყენება სამეგრელოს რეგიონში – ხელისუფლების წარმომადგენლები რეგიონებში, სოფლებში დადიან და ადგილობრივებს მოუწოდებენ, ხმა არ მისცენ პარტიას „საქართველოსთვის", ვინაიდან სექტემბერში პარტიის წევრებზე უახლოეს მომავალში აპირებენ კომპრომატების გამოქვეყნებას), კერძოდ, მიწის დაყადაღების ფაქტთან დაკავშირებით, ფინანსთა მინისტრის მოადგილემ, ბატონმა ცოტნე ყავლაშვილმა, განაცხადა, რომ ფინანსთა სამინისტროს საგამოძიებო სამსახურში დაწყებულია გამოძიება გაყალბებული საბუთებისა და საქართველოს სხვადასხვა რეგიონში სახელმწიფოს კუთვნილი ქონების დაუფლების ფაქტებზე, რომლის საფუძველზეც 40 პირია დაკავებული და პასუხისგებაში მიცემული; ასევე, საქართველოს მასშტაბით 78 ერთეული მიწის ნაკვეთია დაყადაღებული, რომელთა შორისაა ზემოხსენებული მიწის ნაკვეთიც. ბატონი ცოტნეს განცხადებით, ფინანსთა სამინისტროს საგამოძიებო სამსახურის ყოველდღიური საქმიანობა სწორედ ზემოაღნიშნული საქმეების შესწავლაა და საკითხის პოლიტიკურ პროცესებთან ან/და დევნასთან დაკავშირება არასწორია. რაც შეეხება აჭარაში ბიზნესმენთან შემოსავლების სამსახურის თანამშრომლების ვიზიტს, ბატონი ცოტნეს განცხადებით, მედიაში კონკრეტული ფაქტების გარეშე გავრცელებულ ზედაპირულ ინფორმაციაზე მას გაუჭირდება კომენტარის გაკეთება, თუმცა, იქვე დასძინა, რომ შემოსავლების სამსახურის მიერ დღეში ასობით საგადასახადო შემოწმება ხორციელდება და ამ საკითხების დაკავშირება პოლიტიკურ პროცესებთან არასწორად მიაჩნია.

ამავე საკითხზე მთავარი პროკურორის მოადგილემ, ბატონმა გიორგი გაბიტაშვილმა, განაცხადა, რომ საქართველოს პროკურატურაშიც მიმდინარეობს გამოძიება სახელმწიფოს კუთვნილი არაერთი ქონების დაუფლებასთან დაკავშირებით. რაც შეეხება ზემოხსენებულ კონკრეტულ საქმეს, ადგილი აქვს ტყის ფონდის დიდი ფართის დაუფლებას და, ბუნებრივია, საგამოძიებო ორგანოების მხრიდან ადეკვატური რეაგირება მოჰყვა. ბატონი გიორგის თქმით, აღნიშნულ საკითხზე პოლიტიკური სარჩულის დადება არასწორია.

მედიაში გავრცელებულ მომდევნო საკითხთან (გიორგი გახარიას კახეთში სტუმრობასთან დაკავშირებით, სავარაუდოდ, სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის თანამშრომლებისა და ადგილობრივი თვითმმართველობის თანამდებობის პირების მიერ ადევნების, თვალთვალის და მოსახლეობის დაშინების ფაქტები, რამაც სისტემური ხასიათი მიიღო) დაკავშირებით, სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის უფროსის მოადგილემ, ბატონმა ალექსანდრე ბატიაშვილმა, განაცხადა, რომ სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის თანამშრომლები საქმიანობას ახორციელებენ კომპეტენციის ფარგლებში და მედიაში გავრცელებული ინფორმაცია არ შეესაბამება სიმართლეს.

შემდეგ საკითხთან (მმართველ გუნდს რეგიონები 9 წლის შემდეგ, მოახლოებული არჩევნების წინ გაახსენდა და ინფრასტრუქტურის რეაბილიტაცია ხალხის ფულით დაიწყო: არჩევნებამდე რამდენიმე კვირით ადრე „ქართულმა ოცნებამ" გორში შენობების ფასადის სარეაბილიტაციო

სამუშაოები წამოიწყო, რაც მთავრობას რამდენიმე მილიონი ლარი უჯდება, სამუშაოებს კი, ტენდერში გამარჯვებული კომპანია „საბაქონსტრაქშენი“ ახორციელებს. სარეაბილიტაციო სამუშაოებზე დასაქმებული პირები მრავალსართულიან კორპუსებზე უსაფრთხოების ნორმების დაცვის გარეშე გადაადგილდებიან) დაკავშირებით, რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროს წარმომადგენელმა, ბატონმა ნიკოლოზ როსებაშვილმა, განაცხადა, რომ არა მარტო გორში, არამედ 63-ვე მუნიციპალიტეტში მიმდინარეობს ინფრასტრუქტურული სამუშაოები. მისი თქმით, არჩევნები ყოველ წელს ტარდება, ინფრასტრუქტურული პროექტებიც ყოველ წელს ხორციელდება, მით უფრო, ზაფხულის პერიოდი ხელსაყრელია ამგვარი სამუშაოებისთვის და საკითხის წინასაარჩევნო პერიოდთან დაკავშირება დაუშვებელია.

ბატონმა ნიკოლოზ როსებაშვილმა მედიაში გავრცელებულ მომდევნო საკითხთან („ქართული ოცნების“ მიერ წინასაარჩევნოდ ადმინისტრაციული რესურსის გამოყენების დამადასტურებელი ფოტოები ჟურნალ „ბათუმელების“ მიერ მემედ აბაშიძის გამზირზე, „ქართული ოცნების“ აჭარის ორგანიზაციის ცენტრალური ოფისის წინ; ასევე, ინფორმაცია კომპანია შპს „ბათუმის წყლის“ კუთვნილი ავტომობილით მმართველი პარტიის ოფისში სკამების მიტანის თაობაზე, რაზეც ცესკო-ში „საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციამ“ და „საერთაშოროსო გამჭვირვალობა – საქართველოს“ წარმომადგენლებმა შეიტანეს საჩივარი) დაკავშირებით, აღნიშნა, რომ კერძო სამართლის სუბიექტი შპს „ბათუმის წყალი“ მოქმედებს თვითდაფინანსებით და არ საჭიროებს დამატებით მუნიციპალურ სახსრებს. ეს სუბიექტი არის მოგებაზე ორიენტირებული და მოქმედებს „მეწარმეთა შესახებ“ კანონის ფარგლებში. ორგანიზაცია საკუთრებაში არსებულ სხვადასხვა მომსახურებას ეწევა ფიზიკური თუ იურიდიული პირებისთვის, რაც ხორციელდება ანაზღაურების სანაცვლოდ. ზემოაღნიშნულის დამადასტურებელი ფაქტია შპს „ბათუმის წყლისა“ და ბათუმის მერიის მიერ წარმოდგენილი ინვოისი, რომელიც გამოწერილია მომსახურების შესყიდვის საფუძველზე. როგორც ბატონმა ნიკოლოზმა აღნიშნა, ამ შემთხვევაში კანონის დარღვევას არ აქვს ადგილი.

ცესკო-ს წარმომადგენელმა, ბატონმა გიორგი სანტურიანმა, ზემოდასახელებული ორი სადამკვირვებლო ორგანიზაციის მიერ შეტანილ საჩივართან დაკავშირებით ინფორმაცია დაადასტურა. მისი თქმით, მიმდინარეობს მოკვლევა ბათუმის საოლქო საარჩევნო კომისიაში. შესაბამისად, მოკვლევის შემდგომ დადგინდება, იყო თუ არა ადმინისტრაციული რესურსი გამოყენებული. ამ ეტაპზე გადაწყვეტილება არ არის მიღებული.

მედიამონიტორინგის შედეგად მიღებულ შემდეგ ინფორმაციასთან (გლდანის დასუფთავების სამსახურის თანამშრომლებისთვის სამსახურში პირადობის მოწმობების მიტანა და მოგვიანებით დაბრუნება) დაკავშირებით, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის მუნიციპალური ინსპექციის უფროსის მოადგილემ, ბატონმა მამუკა ჯაყელმა, განაცხადა, რომ მისმა უწყებამ მოიკითხა აღნიშნული საკითხი, მაგრამ გლდანის დასუფთავების სამსახურის თანამშრომლებმა მსგავსი ფაქტი უარყვეს.

თითოეულ საკითხზე უწყების პოზიციის მოსმენის შემდეგ კომისიის თავმჯდომარის მოადგილე კომისიის წევრებსა და დამსწრე პირებს შესაძლებლობას აძლევდა, დაესვათ კითხვები, გაეკეთებინათ კომენტარი ან/და წარმოედგინათ ინფორმაცია.

მედიამონიტორინგის მომდევნო საკითხი ეხებოდა გავრცელებულ ინფორმაციას პარტიის „საქართველოსთვის" მხარდამჭერ ა.ბ-თვის იარაღის ჩადებასა და დაკავებასთან დაკავშირებით, რასაც პარტიაში პოლიტიკურ დევნად მიიჩნევენ.

შინაგან საქმეთა სამინისტროს წარმომადგენელმა, ბატონმა გიორგი ოსაძემ, განაცხადა, რომ სამინისტროში მიმდინარეობს გამოძიება ცეცხლსასროლი იარაღის უკანონო შეძენა/შენახვის ფაქტზე. გამოძიების ფარგლებში დაკავებულია ა.ბ., რომელსაც კუთვნილ ავტომანქანაში აღმოაჩნდა ცეცხლსასროლი იარაღი. მითითებულმა პიროვნებამ დაკავებისას შსს-ს წარმომადგენელს (დამკავებელ პირს) მიაყენა სიტყვიერი და ფიზიკური შეურაცხყოფა. ა.ბ-ს 17 აგვისტოს პროკურატურის მიერ წარედგინა ბრალი სსკ-ის 236-ე მუხლის მე-3 და მე-4 და 353-ე მუხლის პირველი ნაწილებით. რაც შეეხება გავრცელებულ ინფორმაციას იარაღის ჩადების ნაწილში, ბატონი გიორგის განცხადებით, მის ხელთ არსებული ინფორმაციით, საქმეს იძიებს საქართველოს პროკურატურა.

მთავარი პროკურორის მოადგილემ დაადასტურა ინფორმაცია ზემოხსენებულ საქმეზე პროკურატურაში გამოძიების მიმდინარეობის თაობაზე და აღნიშნა, რომ ჩატარებულია ყველა საჭირო პროცედურა, მათ შორის, რამდენიმე საგამოძიებო მოქმედება.

მედიაში გავრცელებული მომდევნო ინფორმაციის (2021 წლის 24 ივლისს ფინანსთა სამინისტროს საგამოძიებო სამსახურის მიერ კომპანია „ატენი ტერასების" ქონების დაყადაღება, რის გამოც კომპანიის მეპატრონეს კომპანიის საკუთრებაში არსებული ვენახის მოვლის უფლება ჩამოერთვა, მიზეზად კი, დასახელებულია კომპანიის მეპატრონის მიერ გიორგი გახარიასა და მისი პარტიის წარმომადგენლებისთვის მასპინძლობა) თაობაზე ფინანსთა მინისტრის მოადგილემ, ბატონმა ცოტნე ყავლაშვილმა, განაცხადა, რომ ფინანსთა სამინისტროს საგამოძიებო სამსახურში მიმდინარეობს გამოძიება. მისი თქმით, უწყების თანამშრომლები საქართველოს სხვადასხვა რეგიონში ქონების დაყადაღებისას (მათ შორის, დასახელებული ქონების) სამსახურებრივი უფლებამოსილების განხორციელების პროცესში მოქმედებდნენ კანონის ფარგლებში და კვლავ აღნიშნა, რომ გავრცელებულ ინფორმაციას პოლიტიკურ პროცესებთან არანაირი კავშირი არ აქვს.

მედიამონიტორინგის ბოლო საკითხთან („ევროპული საქართველოს" წარმომადგენელ ვახტანგ კალოიანის მიერ გავრცელებული ინფორმაცია მუნიციპალური საწარმოს ტრანსპორტის, აღჭურვილობის, სკამების, საარჩევნო კამპანიაში პერსონალის ჩართვის, ადმინისტრაციული რესურსის გამოყენების თაობაზე) მიმართებით, მუნიციპალური ინსპექციის უფროსის მოადგილემ, ბატონმა მამუკა ჯაყელმა, აღნიშნა, რომ ამ საკითხზე კონკრეტული ფაქტები არ არის დასახელებული. ამასთან, მისი თქმით, ადმინისტრაციული რესურსის გამოყენების პრევენციის მიზნით გამოიცა ქალაქ თბილისის მერის ბრძანება, რომლის მიხედვით წინასაარჩევნო პერიოდისთვის თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის საჯარო მოხელეებს მიეცათ სახელმძღვანელო ინსტრუქცია მათი უფლება-მოვალეობების შესახებ; ბოლოს კი, დასძინა, რომ

ზემოაღნიშნულის საფუძველზე მერიის სამსახურების თანამშრომლები კონტროლდებიან და ამ ეტაპისთვის ადმინისტრაციული რესურსის გამოყენების ფაქტებს ადგილი არ აქვს.

დღის წესრიგით გათვალისწინებული მეორე საკითხის ამოწურვის შემდგომ კომისიის თავმჯდომარის მოადგილემ, ბატონმა თორნიკე ჭეიშვილმა, აღნიშნა, რომ, მედიამონიტორინგის შედეგად მიღებული ინფორმაციის გარდა, უწყებათაშორის კომისიაში ამ დრომდე არ შემოსულა არანაირი განცხადება/საჩივარი. დღის წესრიგის მესამე საკითხზე გადასვლისას მან მიმართა კომისიის სხდომაზე დამსწრე დაინტერესებულ პირებს, სურვილისამებრ, გაეკეთებინათ განცხადება.

ქალბატონი ლელა ხათრიძე (ა(ა)იპ „სამართლიანი არჩევნებისა და დემოკრატიის საერთაშორისო საზოგადოება" (ISFED)) შეეხო უწყებათაშორისი კომისიის მიერ წინა წლებში გამოცემულ რეკომენდაციებს საჯარო მოხელეების მიმართ, რომელთა მიზანი იყო, მათ წინასაარჩევნო პერიოდში სამუშაო საათებში თავი შეეკავებინათ სოციალურ ქსელებში პოლიტიკური აქტივობებისგან. როგორც ქალბატონმა ლელამ აღნიშნა, მის ხელთ არსებული ინფორმაციით, ეს რეკომენდაციები ხშირად არ სრულდებოდა. მან კითხვით მიმართა კომისიის თავმჯდომარის მოადგილეს, იგეგმება თუ არა უწყებათაშორისი კომისიის მიერ ამგვარი რეკომენდაციების აღსრულების მექანიზმის შემუშავება.

ბატონი თორნიკეს საპასუხო განცხადებით, როგორც მისთვის იყო ცნობილი, წინა წლის არჩევნებისას ცენტრალურ საარჩევნო კომისიასა და პოლიტიკურ პარტიებთან გაფორმებული მემორანდუმის თანახმად, პოლიტიკურმა პარტიებმა აიღეს პასუხისმგებლობა, რომ მათი პარტიების მხარდამჭერები (საჯარო მოხელეები) თავს შეიკავებდნენ სოცქსელებში აქტიურობისაგან. ბატონი თორნიკე დაინტერესდა, ცესკო-ს მიერ იგეგმებოდა თუ არა მიმდინარე არჩევნებისთვის მსგავსი მემორანდუმის გაფორმება.

ბატონი გიორგი სანტურიანის განცხადებით, ზემოხსენებული მემორანდუმი ყოველი არჩევნების დროს ფორმდება საარჩევნო ადმინისტრაციასა და სადამკვირვებლო ორგანიზაციებს შორის უწყებათაშორისი კომისიის ჩართულობით, ამასთან, განიმარტება ადმინისტრაციული რესურსისა და აგიტაციის გამოყენებასთან დაკავშირებული გარკვეული ნორმები. რაც შეეხება სოციალური ქსელების გამოყენებით აგიტაციის საკითხს, მსგავსი განმარტება პირველად 2018 წელს გაკეთდა, შემდეგ – 2020 წელს (რაც აისახა მემორანდუმში). განმარტების თანახმად, სოციალური ქსელით აგიტაცია ჩაითვლებოდა დარღვევად, თუ პირი გამოიყენებდა ადმინისტრაციულ რესურსს (მაგალითად, სამსახურის ტექნიკის გამოყენებით სოციალურ ქსელში გააზიარებდა სააგიტაციო შინაარსის შემცველ ტექსტს). წლევანდელი არჩევნებისთვის მემორანდუმი ჯერჯერობით არ გაფორმებულა, მიმდინარეობს ამ საკითხზე მუშაობა სადამკვირვებლო ორგანიზაციებთან. ბატონმა გიორგიმ დამატებით აღნიშნა, რომ მემორანდუმი გაფორმდება სადამკვირვებლო ორგანიზაციებს, საარჩევნო ადმინისტრაციასა და უწყებათაშორის კომისიას შორის.

ბატონი მიხეილ ანდღულაძე (ა(ა)იპ „ერთსულოვნება საზოგადოების უფლებებისათვის") მოკლედ შეეხო მიმდინარე არჩევნებისთვის ცესკო-ში შექმნილი საკონსულტაციო საბჭოს საკითხსა და, ზოგადად, ფუნქციებს. მისი თქმით, საბჭო დაკომპლექტებულია სხვადასხვა ორგანიზაციის წარმომადგენლებისგან, შედგება 12 წევრისგან და თავად საბჭოს მიერ არჩეულია თავმჯდომარედ. იგი იმედოვნებს, რომ მისი და სხვა ორგანიზაციების საქმიანობა ამ საბჭოში იქნება საინტერესო და სამართლიანი.

ბატონმა თორნიკემ სხდომის შეჯამებისას აღნიშნა, რომ დღევანდელი გაფართოებული ფორმატის სხდომაზე მოწვეული არასამთავრობო ორგანიზაციებიდან და სახელმწიფო ბიუჯეტიდან დაფინანსების მქონე პოლიტიკური პარტიებიდან სხდომას ესწრება მხოლოდ ერთი პარტიის – „ქართული ოცნება – დემოკრატიული საქართველოს“ წარმომადგენელი, ბატონი შალვა პაპუაშვილი.

დასასრულ, კომისიის თავმჯდომარის მოადგილემ მადლობა გადაუხადა კომისიის წევრებსა და დამსწრე პირებს სხდომის მუშაობაში ონლაინ რეჟიმში ჩართვისთვის.

სხდომაზე წამოჭრილ სხვადასხვა საკითხთან დაკავშირებით სიტყვით გამოვიდნენ და თავიანთი პოზიციები, ასევე, დააფიქსირეს შემდეგი პოლიტიკური პარტიისა და არასამთავრობო ორგანიზაციების წარმომადგენლებმა:

– პარტია „ქართული ოცნება – დემოკრატიული საქართველო“ – შალვა პაპუაშვილი;

– ა(ა)იპ „ახალი თაობა დემოკრატიული საქართველოსთვის“ – ტატიანა (ნატალია) ხოხიაშვილი;

– ა(ა)იპ „ადვოკატთა და იურისტთა საერთაშორისო ობსერვატორია“ – გრიგოლ გაგნიძე.

სხდომა დასრულდა 18:21 საათზე.

კომისიის თავმჯდომარის მოადგილე:

კომისიის მდივანი: